

# ჰიდროელექტროსადგურის ჰიდროენერგეტიკული და ჰიდრომექანიკური მოწყობილობები

## II სემესტრი. 2017-2018 წელი

(დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

### Question 1

ჰიდროტურბინის სტატორის გავლის შემდეგ წყალი მიეწოდება:

Select one:

- a. სპირალურ კამერას.
- b. ჰიდროტურბინის მუშა თვლის ფრთებს.
- c. მიმმართველ აპარატს.
- d. როტორს.

### Question 2

ჰიდროტურბინის წყლის ხარჯის რეგულირება მიმმართველი აპარატის სიმაღლის შეცვლით:

Select one:

- a. შეიძლება განხორციელდეს კაპლანის და პელტონის ჰიდროტურბინებში.
- b. შეიძლება განხორციელდეს პელტონის ჰიდროტურბინები.
- c. შეიძლება განხორციელდეს ფრენსისის და პელტონის ჰიდროტურბინებში.
- d. შეიძლება განხორციელდეს კაპლანის, პროპელერის ან ფრენსისის ჰიდროტურბინები.

### Question 3

ფრენსისის ჰიდროტურბინის მუშა თვალი შედგება:

Select one:

- a. ზედა ფერსოს (მორგვი), ქვედა ფერსოს და ფრთებისაგან.
- b. ზედა ფერსოს, ქვედა ფერსოსა და საქშენისაგან.
- c. ზედა ფერსოს, ქვედა ფერსოს და მიმმართველი აპარატის ფრთებისაგან.
- d. ზედა ფერსოს, ფრთებისა და ლილვისაგან.

### Question 4

მილტუჩთან ახლოს განლაგებული კაპლანის ჰიდროტურბინის მუშა თვლის ფრთის ფესვური განივკვეთი:

Select one:

- a. სქელი და დამრეცია.
- b. თხელი და ციცაბოა.
- c. სქელი და ციცაბოა.
- d. თხელი და დამრეცია.

### Question 5

პელტონის ჰიდროტურბინის სიმძლავრე რეგულირდება ხარჯის ცვლილებით, რასაც ახორციელებს:

Select one:

- a. საქმენის ნემსა .
- b. წინასათურბინო საკეტი.
- c. დეფლექტორი.
- d. წამკვეთი.

#### Question 6

გამწოვი მილი:

Select one:

- a. ამცირებს წნევას მუშა თვალის შემდეგ და ქმნის ვაკუუმს.
- b. ზრდის წნევას მუშა თვალის შემდეგ.
- c. იცავს მუშა თვალს ჰიდრაულიკური დარტყმისგან.
- d. ამცირებს წნევას და მუშა თვალში ქმნის ვაკუუმს

#### Question 7

კავიტაციისას ლითონის ეროზიის ძირითადი მიზეზია:

Select one:

- a. ელექტრული ზემოქმედება.
- b. ტემპერატურული ზემოქმედება.
- c. ძალოვანი ზემოქმედება.
- d. ქიმიური ზემოქმედება.

#### Question 8

ჰიდროტურბინის სიჩქარის რეგულატორის მარეგულირებელი ორგანოს საშუალებით შესაძლებელია:

Select one:

- a. ჰიდროტურბინაში გამავალი ხარჯის დარეგულირება.
- b. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.
- c. ჰიდროტურბინის ბრუნვითი მომენტის შეცვლა (მიმართველი აპარატი ან საქმენი).
- d. ჰიდროტურბინის დაწნევის შეცვლა.

#### Question 9

კომპიუტერით აღჭურვილი ავტომატური რეგულატორის ძირითადი ნაწილია:

Select one:

- a. კატარაქტი.
- b. ქანქარა.
- c. წნევის სენსორი.
- d. უკუკავშირის კონუსი.

### Question 10

განსაზღვრეთ რეგულირების უთანაბრობის კოეფიციენტი (%) სრული დატვირთვის სწრაფი მოხსნისას შემდეგი პირობებისთვის: მაქსიმალური ბრუნთა რიცხვი 700 ბრ/წთ, ნორმალური ბრუნთა რიცხვი 500 ბრ/წთ.

Select one:

- a. 50%.
- b. 40%
- c. 30%.
- d. 35%.

### Question 11

ზეთსადაწნეო დანადგარის ზეთის ტუმბო:

Select one:

- a. მოცულობითი ტიპისაა.
- b. ფრთიანი ტიპისაა.
- c. საქმენი ტუმბოა.
- d. დინამიკურია.

### Question 12

მიმმართველი აპარატის სერვომოტორის მაქსიმალური ძალვა:

Select one:

- a. სერვომოტორის მუშა წნევის უკუპროპორციულია.
- b. სერვომოტორის მუშა წნევის კვადრატის უკუპროპორციულია.
- c. სერვომოტორის მუშა წნევის პროპორციულია.
- d. სერვომოტორის მუშა წნევის კვადრატის პროპორციულია.

### Question 13

წყალმომარაგების სატუმბო სქემა გამოიყენება:

Select one:

- a. ჰესებზე 15 მ-ზე ნაკლები და 200 მ-ზე მეტი დაწნევებისას.
- b. არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- c. ჰესებზე 200 ÷ 300მ დაწნევისას.
- d. ჰესებზე 15 მ-ზე ნაკლები და 200 მეტრამდე დაწნევისას.

### Question 14

ჩაშენებულია მილსადენი, როცა იგი:

Select one:

- a. კაშხლის ქვემო წახნაგზე მდებარეობს.
- b. კაშხლის ქიმზე მდებარეობს.
- c. კაშხლის ტანში მდებარეობს.

d. კაშხლის სასადგურე ნაწილში მდებარეობს.

### Question 15

მილსადენის საანკერო საყრდენები არსებობს:

Select one:

- a. ღია სადაწნეო და უდაწნეო.
- b. სხმული და რეზინის გულარით.
- c. ღია და ნახევრად დახურული.
- d. ღია და დახურული.